

# ხელშეკრულება № 76

კასპი

16.11. 2017 წელი

კასპის მინიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება, შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის მანანა ხეთისიაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე, ერთის მხრივ და შპს „ეტალონი“ შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ ფილიშვილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ეტალონი“-მა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მინიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში“ შემავალ 26 საბავშვო ბაღში (იხ.დანართი N1) შეასრულოს სასმელი წყლის ბაქტერიოლოგიური ანალიზი მეზოფილური აერობები და ფაკულტატიური ანაერობები, საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, E. coli.  
1.2. შესყიდვის ობიექტია: წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლის კვლევის ოქმი (შესაბამისობის დოკუმენტი) - „სასმელი წყლის შემოწმების ოქმი.“ კონსულტაცია ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მუხლით.

## 2. შესრულებული სამუშაოს ვადები და ღირებულება

2.1. სამუშაოს შესრულება ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.  
2.2. 26 ობიექტის შემოწმება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.  
2.3. შემოწმების ობიექტის ერთეულის ფასია 85 (ოთხმოცდახუთი) ლარი.  
2.4. მთლიანი ღირებულება შეადგენს 2210 (ორიათას ორას ათი) ლარს.  
2.5. შემოწმების ობიექტის ერთეულის ფასი წარმოდგენილია ყველა თანმდევი ხარჯის გათვალისწინებით.

## 3. ანგარიშსწორება მხარეებს შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეებს შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.  
3.2. ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).  
3.3. ანგარიშსწორება წარმოებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მითითებული რვანიშნა კოდით: 71900000.  
3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის ჩაბარებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რომელიც დადასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „დამკვეთი“ კისრულობს ვალდებულებას:  
4.2. გადაუხადოს „შემსრულებელს“ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შესრულებული სამუშაოს დამთავრებისთანავე, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.  
4.3. „შემსრულებელს“ უფლება აქვს:  
4.4. მოსთხოვოს „დამკვეთს“ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. „დამკვეთი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.  
6.2. გამოვლენილი ნაკლის ან დეფექტის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „შემსრულებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 16.01.2018 წლამდე.

**8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.**

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების პირობები ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**9. ზოგადი დებულებები**

- 9.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხრიდან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.
- 9.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხრიდან წერილობითი თანხმობით.
- 9.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**10. ფორს-მაჟორი**

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და შემსრულებლისთვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

**11. დავათა განხილვის წესი**

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

**12. მხარეთა რეკვიზიტები:**

„დამკვეთი“

„კაპის მუნიციპალიტეტის  
სკოლამდელი აღზრდის  
დაწესებულებების გაერთიანება“  
მისამართი: კასპი, სააკაძის ქ. №68  
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 232559781;  
ტელ: 577 16 70 05

დირექტორი:

მ.ხეთისაშვილი



„შემსრულებელი“

შპს „ეტალონი“  
ქ. თბილისი ჩარგლის ქ. №73  
ს.ს. საქართველოს ბანკი - ცენტრალური ფილიალი  
ბანკის კოდი BAGAGE22  
ანგარიშის ნომერი GE73BG0000000116674200  
ს/კ 200141612  
ტელ: 5 99 38 05 51

დირექტორი:

თენგიზ ფილიშვილი





სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

N	სკოლამდელი დაწესებულებების დასახელება	ხელმძღვანელის სახელი, გვარი	კორპორატიული ტელეფონის ნომერები
1.	კასპის №1 ს/ზალი (წერეთლის ქ. #6)	მზია ჭაღიაშვილი	577 16 50 75
2.	კასპის №2 ს/ზალი (პატრიარქ ეფრემ მეორის ქ. #2)	თამარ ხოკრიშვილი	577 16 50 76
3.	კასპის №3 ს/ზალი (ქუთათელაძის ქ. #2)	თეა ქუტაშვილი	577 16 50 77
4.	კასპის №4 ს/ზალი (თავისუფლების ქ. #1)	დალი კოტეტიშვილი	577 16 50 78
5.	კასპის №5 ს/ზალი (ბორჯომის ქ. #1)	ლამარა მილაძე	577 16 50 79
6.	ზ/ზანდაკის ს/ზალი	თამარ დეკანოზიშვილი	577 16 50 80
7.	სამთავისის ს/ზალი	ლენა ჩადუნელი	577 16 50 81
8.	ლამისყანის ს/ზალი	მზია ზარიძე	577 16 50 82
9.	თეზის ს/ზალი	მაია ჩიტაშვილი	577 16 50 83
10.	კავთისხევის ს/ზალი	ნელი გზირიშვილი	577 16 50 84
11.	ახალქალაქის №1 ს/ზალი	ქეთინო აბუაშვილი	577 16 50 85
12.	ახალქალაქის №2 ს/ზალი	ნადია ჭაღიაშვილი	577 16 50 86
13.	ქვ. ჭალის ს/ზალი	ნათია მჭედელაძე	577 16 50 87
14.	ოკამის ს/ზალი	მეგი ჩიტაშვილი	577 16 50 88
15.	დოესის ს/ზალი	სოფო როინიშვილი	577 16 50 89
16.	ხოვლის ს/ზალი	ლალი თაბუაშვილი	577 16 50 71
17.	თელიანის ს/ზალი	ეკა ხორგუაშვილი	577 16 50 91
18.	სასირეთის ს/ზალი	ქეთინო ჭაღიაშვილი	577 16 50 92
19.	მეტეხის ს/ზალი	ნინო პატარქალაშვილი	577 16 50 93
20.	გრაკალის ს/ზალი	ნანა კუჭაშვილი-გრაკლიშვილი	577 16 50 94
21.	ქვ. გომის ს/ზალი	ელიზა ბიძინაშვილი	577 16 50 95
22.	ახალციხის ს/ზალი	ნინო ბერძნიშვილი	577 16 50 96
23.	ეზატის ს/ზალი	ნანა აბულაძე	577 16 50 97
24.	სად. მეტეხის ს/ზალი	მარიამ გეჯაძე	577 16 50 98
25.	ფერმის ს/ზალი	ლორენა ჩიტაშვილი	577 16 50 99
26.	აღაიანის ს/ზალი	ეკატერინე დვალიშვილი	599 25 53 01